დანართი #1

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (ტექსტში შემდგომ - "კონსერვატორია") აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - "წესი") შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს შრომის კოდექსი"-ს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და კონსერვატორიის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.
3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს დაწესებულების მოთხოვნებისა და პრეტენდენტის პროფესიული უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება კონსერვატორიის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. საშემსრულებლო ფაკულტეტზე

1.1. საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულებებზე შემდეგი სპეციალობებით (სპეციალური ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი და კვარტეტი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, სავალდებულო ფორტეპიანო, სოლო აკადემიური სიმღერა, კამერული სიმღერა, საოპერო მომზადება, საორკესტრო სიმებიანი საკრავები, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, ჯაზის ხელოვნება) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:
ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან/და პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად

პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.
ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, ან/და პირი რომელსაც აქვს წვლილი შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.
ბ)[1] ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შესაძლოა არჩეულ იქნას პირი, რომელსაც შეტანილი აქვს მნიშვნელოვანი წვლილი საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში, აქვს საერთაშორისო აღიარება ან/და მრავალწლიანი საშემსრულებლო - პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-შემოქმედებითი ან/და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის **აკადემიური ხარისხი** (გარდა საოპერო მომზადებისა და ჯაზის მიმართულებებისა) და **პროფესიული გამოცდილება** (ყველა მიმართულებით/სპეციალობით) უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას;

2. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე

2.1. კომპოზიციის მიმართულებაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:
ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებეული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან/და პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.
ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან/და პირი, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-შემოქმედებითი ან/და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.
შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის **აკადემიური ხარისხი და პროფესიული გამოცდილება** უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას.

2.2. კომპოზიციის მიმართულებაზე (სპეციალობა მუსიკის ტექნოლოგია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) **პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა** დოქტორი ან მასთან გათანაბრებეული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან/და პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი მუსიკის ტექნოლოგიის დარგის განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით/სპეციალობით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.
ბ) **ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით** აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან/და პირი, რომელსაც წვლილი აქვს შეტანილი პროფესიული კადრების მომზადებასა და მუსიკის ტექნოლოგიის დარგის განვითარებაში და აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით/სპეციალობით ასოცირებულ ან ასისტენტ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით/სპეციალობით სამეცნიერო-შემოქმედებითი ან/და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.
შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის აკადემიური ხარისხი ან/და პროფესიული გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას/სპეციალობას.

2.3. მუსიკოლოგიის მიმართულებებზე (მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, საეკლესიო მუსიკა, ეთნომუსიკოლოგია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მუსიკისმცოდნეობის განვითარებაში, აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს აკადემიური უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით ასოცირებულ ან ასისტენტ-პროფესორად პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ან/და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობების **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)** დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის აკადემიური ხარისხი და პროფესიული გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს განაცხადში მითითებულ საკონკურსო მიმართულებას.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს კონსერვატორიის რექტორი.
2. კონკურსის პირობები ქვეყნდება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების საერთო ვადები და პირობები დგინდება აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. კონკურსის ჩატარების კონკრეტული ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება კონსერვატორიისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - ,,საკონკურსო კომისია“, ან ,,კომისია“), რომლის შემადგენლობა იქმნება და მტკიცდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ.
2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს კონსერვატორიის აკადემიური და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის ქართული ენის მცოდნე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე) სპეციალისტებისგან. კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს, საჭიროებისამებრ, შეუძლია შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით.

3. კომისიის შემადგენლობაში კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები.
4. კომისიის წევრის/წევრების აცილების საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
5. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის 2/3. კომისიის წევრმა შეიძლება იმუშოს როგროც ფიზიკურ ისე ონლაინ რეჟიმში.
6. კომისია კანდიდატთა შეფასებისას გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე ერთით მეტი.
7. კომისია პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც უნდა იყოს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე ერთით მეტი.
8. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში თუკი კომისიის თავმჯდომარე ვერ იღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში (ფიზიკურად ან ონლაინ რეჟიმის ფორმატში), სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. კვორუმის არსებობისა და კომისიის მდივნის სხდომაზე ვერ მონაწილეობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის ამ სხდომის ოქმის შედგენაზე.
9. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში.
10. საკონკუსრო კომისიის სხდომა დახურულია.
11. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ და ხელს აწერს გაუთქმელობის დოკუმენტს (დანართი 5).
12. გაკვეთილის/სამოდელო გაკვეთილის/ჩანაწერის მოსმენის/გასაუბრების ჩატარების თარიღ/ებ/ი და განრიგი დგინდება საკონკურსო კომისიის მიერ, ქვეყნდება საჯაროდ და ეგზავნებათ კონკურსანტებს ანკეტაში მითითებულ ელ. ფოსტაზე 2 დღით ადრე.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს კონსერვატორიის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს (ტექსტში შემდგომ - აპარატი).
2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი მტკიცდება კონსერვატორიის რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი #2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ. კონკურსში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს შემოიტანოს განაცხადი **<u>მხოლოდ ერთ ფაკულტეტზე, ერთი მიმართულებით/სპეციალობით გამოცხადებულ ერთ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.</u>** კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ განცხადებას დაურთოს კონკურსანტის შევსებული ანკეტა (დადგენილების დანართი №3)

და მოთხოვნილი დოკუმენტაცია (კონკურსანტის ანკეტის დამტკიცებული ფორმის შევსება/დაცვა სავალდებულოა).
4. კონკურსანტის მიერ შევსებული განცხადების, ანკეტისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით (CD/ფლეშ მეხსიერებაზე ჩაწერილი).
5. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებულ უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში აუცილებლად მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია.
6. ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდეგ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) არ მიიღება.
7. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით მოწმდება და ილუქება კონსერვატორიის ბეჭდით.
8. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ დაირღვევა წინამდებარე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები, მას უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ეძლევა ხსენებული დარღვევ/ებ/-ის გამოსწორების ვადა, არაუმეტეს საკონკურსო განცხადებების (დოკუმენტაციის) მიღების ვადის ამოწურვიდან ორი სამუშაო დღისა.
9. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება არ მიიღება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა
1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა აპარატის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე, დალუქულ მდგომარეობაში, აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.
2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ.
3. საკონკურსო კომისია ადგენს კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის შესაბამისობას მე-2 მუხლში მოთხოვნილ წინაპირობასთან/ებთან და ასახავს მას ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4). თუ კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამება ამ წესის მე-2 მუხლის წინაპირობას საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.
მუხლი 7. კონკურსის პირობები და შეფასების სისტემა

7.1. საშემსრულებლო ფაკულტეტზე:
7.1.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრების ძირითადი კრიტერიუმებია:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტების პროფესიული წარმატებები, ჩატარებული მასტერკლასები/კლასის კონცერტები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია და სხვა);

- შემოქმედებითი მიღწევები (საკონცერტო მოღვაწეობა, წარმატებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე; დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD, DVD);
- კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.
მხედველობაში მიიღება საშემსრულებლო-შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის სრული პერიოდი.
კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრება ტარდება შემდეგი საკითხების ირგვლივ:
- კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაცია (პედაგოგიური მოღვაწეობა, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია, შემოქმედებითი მიღწევები, კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები);
მხედველობაში მიიღება საშემსრულებლო-შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო 10 წელი.
კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.1.3. ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში ყველა საშემსრულებლო სპეციალობით კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად.

საშემსრულებლო სპეციალობებზე (გარდა აკადემიური გუნდის დირიჟორობისა და საოპერო მომზადებისა):
-კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცერტით (პროგრამა ამ წესით განსაზღვრული პირობებითა და მოთხოვნების შესაბამისად);
- გაკვეთილით და გასაუბრებით (გასაუბრება ტარდება გაკვეთილის და ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობაზე:
- გუნდთან მუშაობით;
- სტუდენტთან გაკვეთილით და გასაუბრებით.

საოპერო მომზადების მიმართულების დირიჟორის სპეციალობით
-კონცერტის ან/და რეპეტიციის ვიდეო ან/და live stream ჩანაწერით
-სტუდენტთან გაკვეთილით და გასაუბრებით;

ა) **ჩასატარებელი კონცერტის** პროგრამის ხანგრძლივობა და ზოგადი მოთხოვნები სპეციალობების მიხედვით (გარდა აკადემიური გუნდის დირიჟორობისა და საოპერო მომზადების მიმართულებისა):

***კლავიშიანი საკრავები:** პროგრამის ხანგრძლივობა 40-45 წუთი. პროგრამა უნდა შეცავდეს სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებს, რომელთაგან ერთი უნდა იყოს პოლიფონიური ფორმა;

*** სავალდებულო ფორტეპიანო:** პროგრამის ხანგრძლივობა 30 - 40 წუთი. პროგრამა უნდა შეიცავდეს დიდი და მცირე ფორმის ნაწარმოებებს;

*** სიმებიანი საკრავები:** პროგრამის ხანგრძლივობა 20-30 წუთი. პროგრამა უნდა შეიცავდეს განსხვავებული ეპოქის და ჟანრის ნაწამოებებს (შეიძლება იყოს სოლო, დუეტი, ტრიო), რომელთაგან ერთი უნდა იყოს ბაროკოს ეპოქიდან;

*** ჩასაბერი საკრავები:** პროგრამის ხანგრძლივობა 20-30 წუთი. პროგრამა უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებს (შეიძლება იყოს სოლო, დუეტი, ტრიო, კვინტეტი), რომელთაგანაც ერთი იქნება ვირტუოზული პიესა.

*** კამერული ანსამბლი და კვარტეტი:** პროგრამის ხანგრძლივობა სიმებიანი, ხის და ლითონის ჩასაბერი საკრავების, ფორტეპიანოს შემთხვევაში შეადგენს 30-40 წუთს. პროგრამა თავისუფალი, კონკურსანტის არჩევით.

*** საკონცერტმაისტერო:** პროგრამის ხანგრძლივობა 30-40 წუთი. პროგრამა უნდა შეიცავდეს ბაროკოს ეპოქის ან კლასიკური ეპოქის გავრცობილ არიას/ XIX-XX სს საოპერო ნაწყვეტს / გავრცობილი არიას/ ვოკალურ ციკლს/ რომანსებს/ Lied/ ვირტუოზულ საკრავიერ პიესას.

*** ჯაზი:** პროგრამის ხანგრძლივობა 20-30 წუთი; პროგრამა უნდა შეიცავდეს სოლო, ან ნებისმიერ შემადგენლობის ჯაზ ანსამბლის რეპერტუარს;

*** აკადემიური სიმღერა:** პროგრამის ხანგრძლივობა 30-35 წუთი. პროგრამა უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ეპოქის საოპერო და კამერულ ნაწარმოებებს: ბაროკოს არია, ერთი იტალიური გავრცობილი არია, ერთი არია (ეპოქა, სტილი და საკომპოზიტორო სკოლა კონკურსანტის არჩევით), ერთი ლიდი (Lied), ორი რომანსი (კონკურსანტის არჩევით).

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცერტი ფასდება ცალკე 10 ქულით, ხოლო გაკვეთილი და გასაუბრება ერთად 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი კონცერტის 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე.

აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობით გუნდთან მუშაობა ტარდება:
- კონსერვატორიის მიერ ორგანიზებულ გუნდთან;

– კონკურსანტისთვის უცნობ a cappella ერთ ნაწარმოებზე, რომლის მომზადებისთვის კონკურსანტს ეძლევა არაუმეტეს 30 წუთისა;
- გუნდთან მუშაობის ხანგრძლივობა 45 წუთი;

გუნდთან მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:
- ნაწარმოების არსში წვდომის უნარი და შინაარსის მუსიკალური ინტერპრეტაცია, მეთოდოლოგიური შესაბამისობა, მასალის დემონსტრირება; გადმოცემის ლოგიკურობა/არგუმენტულობა; ვოკალურ-საგუნდო ტექნიკაზე მუშაობა;
- გაკვეთილის დროის რაციონალური გამოყენება;
- თეორიის და პრაქტიკის ორგანული კავშირი;
- გუნდთან კომუნიკაცია, უკუკავშირი;
- კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები;

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. კონკურსანტის მიერ გუნდთან მუშაობა ფასდება ცალკე 10 ქულით, ხოლო გაკვეთილი და გასაუბრება ერთად 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. კონკურსანტის მიერ გუნდთან მუშობის 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე;

საოპერო მომზადების მიმართულების დირიჟორის სპეციალობით წარმოსადგენი ვიდეო ჩანაწერის ზოგადი მოთხოვნები:
- კონკურსანტი ვალდებულია დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს ბოლო 4 წელიწადში გაკეთებული კონცერტის ან/და რეპეტიციის ვიდეო ან/და live stream ჩანაწერი.
- კონკურსანტის შეფასება განხორციელდება ვიდეო ჩანაწერის საფუძველზე.
- ჩანაწერი უნდა იძლეოდეს კონკურსანტის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

*საოპერო მომზადება: პროგრამის ხანგრძლივობა 20-30 წუთი. კონკურსანტმა დირიჟორმა უნდა წარმოადგინოს ბოლო 4 წელიწადში გაკეთებული ვიდეო ჩანაწერი, სადაც იგი დირიჟორობს სიმფონიურ ან საოპერო ნაწარმოებს;

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერი ფასდება ცალკე 10 ქულით, ხოლო გაკვეთილი და გასაუბრება ერთად 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერის 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე;

ბ) გაკვეთილი ყველა საშემსრულებლო მიმართულებით/სპეციალობით ტარდება:
- მიმართულების მაპროფილებელ სპეციალობაში
- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთან, რომელიც არ ირიცხება/ოდა კონკურსანტის კლასში (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც აღნიშნული პრინციპის
დაცვა შეუძლებელია);
- ნაწარმოებზე, რომლის მომზადებისთვის კონკურსანტს ეძლევა არაუმეტეს 30 წუთისა.
- კონსერვატორიის მიერ შერჩეულ სტუდენტთან/ებთან
- გაკვეთილის ხანგრძლივობა 45–50 წთ-მდე.
- გაკვეთილი ტარდება 1 ნაწარმოებზე

ჩასატარებელი გაკვეთილის მოთხოვნები სპეციალობების მიხედვით:

***სოლო სიმღერის** სპეცილობით გაკვეთილი ტარდება საოპერო არიის (განურჩევლად ეპოქის, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლისა) მაგალითზე;
***კამერული სიმღერის** სპეციალობით გაკვეთილი ტარდება კამერულ-ვოკალური ჟანრის (Lied, რომანსი და სხვ) მაგალითზე;
*** საოპერო მომზადების** სპეცილობით გაკვეთილი/რეპეტიცია ტარდება დირიჟორის მიერ დუეტის/ტერცეტის/განვითარებული საოპერო სცენის/არიის მაგალითზე;
* **სოლო საფორტეპიანო** სპეციალობაზე გაკვეთილი ტარდება პოლიფონიური ფორმის/მსხვილი/მცირე/ციკლური ფორმის (განურჩევლად ეპოქის, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლისა) მაგალითზე;
* **საორკესტრო სიმებიანი** საკრავების სპეციალობით გაკვეთილი ტარდება პოლიფონიური ფორმის, მსხვილი, მცირე, ციკლური ფორმის (განურჩევლად ეპოქის, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლისა) მაგალითზე;
* **საორკესტრო ჩასაბერი** საკრავების სპეციალობით გაკვეთილი ტარდება მცირე ფორმის/პოლიფონიური ფორმის/მსხვილი/ციკლური ფორმის (განურჩევლად ეპოქის, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლისა) მაგალითზე;
* **აკადემიური გუნდის დირიჟორობის** სპეციალობით გაკვეთილი ტარდება: a cappella ნაწარმოებზე;
* **კამერული ანსამბლის და კვარტეტის** სპეცილობით გაკვეთილი ტარდება სიმებიანი ან ჩასაბერი ან შერეული შემადგენლობის ანსამბლთან (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და სხვ.);
* **საკონცერტმაისტერო სპეციალობით** გაკვეთილი ტარდება ვირტუოზული საკრავიერი პიესის/ბაროკოს ეპოქის/კლასიკური გავრცობილი არიის/XIX-XX სს საოპერო ნაწყვეტის/გავრცობილი არიის/ვოკალური ციკლის/რომანსების/Lied-ის მაგალითზე;
***სავალდებულო ფორტეპიანოს** სპეციალობით გაკვეთილი ტარდება საშემსრულებლო/კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთან მცირე ფორმის ნაწარმოების მაგალითზე;
***ჯაზის** სპეცილობით გაკვეთილი ტარდება სოლო, ან ჯაზ ანსამბლის ნებისმიერ შემადგენლობასთან.

გაკვეთილის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ნაწარმოების არსში წვდომის უნარი და შინაარსის მუსიკალური ინტერპრეტაცია, მეთოდოლოგიური შესაბამისობა, მასალის დემონსტრირება; გადმოცემის ლოგიკურობა/არგუმენტულობა; ტექნიკაზე მუშაობა; არტისტიზმზე მუშაობა;
- გაკვეთილის დროის რაციონალური გამოყენება;
- თეორიის და პრაქტიკის ორგანული კავშირი.
- სტუდენტთან უკუკავშირი;
- კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები;

გასაუბრება ტარდება შემდეგი საკითხების ირგვლივ:

* ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაცია (პედაგოგიური მოღვაწეობა, შემოქმედებითი მიღწევები, კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები);
* ჩატარებული გაკვეთილი; აკადემიური გუნდის დირიჟორობის შემთხვევაში გუნდთან მუშაობა და სტუდენტთან გაკვეთილი.

მხედველობაში მიიღება საშემსრულებლო-შემოქმედებითი ან/და პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო 6 წელი;

7.2. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე კომპოზიციის სპეციალობით

7.2.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრების ძირითადი კრიტერიუმებია:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტების პროფესიული წარმატებები, ჩატარებული მასტერკლასები/კლასის კონცერტები, წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია, და სხვა);
-შემოქმედებითი მიღწევები (წარმატებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე; დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD, DVD) და სხვ.
-კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

მხედველობაში მიიღება პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი და მოღვაწეობის სრული პერიოდი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიან სისტემაში (სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.2.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრება ტარდება შემდეგი საკითხების ირგვლივ:
- კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაცია (პედაგოგიური მოღვაწეობა, შემოქმედებითი მიღწევები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია, კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები).

მხედველობაში მიიღება კონკურსანტის პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო 10 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.2.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად:

- სამოდელო ლექციით/გაკვეთილით;
- გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ);

ა) სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ტარდება:
- მიმართულების მაპროფილებელ სპეციალობაში;
––ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთან, რომელიც არ ირიცხება/ოდა კონკურსანტის კლასში (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც აღნიშნული პრინციპის დაცვა შეუძლებელია);
- ნაწარმოებზე, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის სტუდენტის მიერ
– გაკვეთილის ხანგრძლივობა 45–50 წთ.

სამოდელო ლექცია/გაკვეთილის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:
- სწავლების მეთოდოლოგია;
- გაკვეთილის დროის რაციონალური გამოყენება;
- თეორიის და პრაქტიკის ორგანული კავშირი;
- სტუდენტთან უკუკავშირი;
- მეტყველების კულტურა და კომუნიკაციის უნარი.

გ) გასაუბრება ტარდება შემდეგი საკითხების ირგვლივ:
- კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაცია (პედაგოგიური მოღვაწეობა შემოქმედებითი მიღწევები, კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები)
- ჩატარებული გაკვეთილი;

მხედველობაში მიიღება პედაგოგიური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო 6 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. ჩატარებული სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ფასდება ცალკე, 10 ქულით, ხოლო გასაუბრება ცალკე, 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. სამოდელო ლექცია/გაკვეთილში 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე.

7.3. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით

7.3.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრების ძირითადი კრიტერიუმებია:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტების პროფესიული წარმატებები, ჩატარებული მასტერკლასები/კლასის კონცერტები, წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია, და სხვა);
-შემოქმედებითი მიღწევები (წარმატებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებზე და ფესტივალებზე; დიპლომები, პრემიები, ჯილდოები, წოდებები, სტიპენდიები, აუდიო/ვიდეო პუბლიკაციები (CD, DVD) და სხვ.);
-კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
-პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

მხედველობაში მიიღება კონკურსანტის პედაგოგიურ-მეთოდური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის სრული პერიოდი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.3.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრება ტარდება შემდეგი საკითხების ირგვლივ:
- კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაცია (პედაგოგიური მოღვაწეობა, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია, კვლევითი-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები);

მხედველობაში მიიღება კონკურსანტის პედაგოგიურ-მეთოდური და სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო 10 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.3.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად:

- სამოდელო ლექციით/გაკვეთილით და
- გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ);

ა) სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ტარდება :

- მიმართულების მაპროფილებელ დისციპლინებში
- ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთან, რომელიც არ ირიცხება/ოდა კონკურსანტის კლასში (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც აღნიშნული პრინციპის დაცვა შეუძლებელია);
- ხანგრძლივობა 45-50 წთ;
- კონკურსანტი ირჩევს სამოდელო ლექციის სასურველ თემას, სამიზნე ჯგუფს

სამოდელო ლექცია/გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებია:
ლექციის შინაარსი
• ლექციის/გაკვეთილის ძირითადი სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები;
• თემის ძირითადი დებულებების ფორმულირება;
• თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი, თეორიული მასალის და კონკრეტული მაგალითების თანხვედრა;
• გამოყენებული ტერმინოლოგიის სიზუსტე.
სწავლების მეთოდები
• სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისობა საგნის სპეციფიკასთან;
• სალექციო დროის რაციონალური გამოყენება;
• სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება.
კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები
• ინფორმაციის განზოგადებისა და მიწოდების ხარისხი;
• მეტყველების კულტურა და კომუნიკაციის უნარი

ბ) გასაუბრება ტარდება კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
- სამეცნიერო–შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება და მიღწევები;
- პროფესიულ საქმიანობასთნ დაკავაშირებული სხვა აქტივობები.

ასისტენტ-პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება **კონკურსანტის** **პედაგოგიურ-მეთოდური** და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის ბოლო 6 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. ჩატარებული სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ფასდება ცალკე, 10 ქულით, ხოლო გასაუბრება ცალკე, 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. სამოდელო ლექცია/გაკვეთილში 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე.

7.4. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, საეკლესიო მუსიკის, ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით

7.4.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრების ძირითადი კრიტერიუმებია:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; პედაგოგიური მოღვაწეობა (აღზრდილი სტუდენტები, საჯარო ლექციები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები და სხვა);
- კვლევითი-მეთოდური, კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება და მიღწევები;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

მხედველობაში მიიღება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის სრული პერიოდი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.4.2 ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ერთ ეტაპად - მხოლოდ გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ).

გასაუბრება ტარდება კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ:
- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება; საჯარო ლექციები, მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სწავლების კონცეფცია; წაკითხული (ჩატარებული) სასწავლო კურსები/მოდულები და სხვა);
- კვლევითი-მეთოდური, კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება და მიღწევები;
- პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

კონკურსანტის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბოლო 10 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით (სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა 10 ქულა, პედაგოგიურ-მეთოდური საქმიანობა 10 ქულა). თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით.

7.4.3 ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსანტი ფასდება ორ ეტაპად:

- სამოდელო ლექციით/გაკვეთილით და

- გასაუბრებით (ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ);

ა) სამოდელო ლექცია/გაკვეთილი:

- ტარდება კომისიასთან
- ხანგრძლივობა 45-50 წთ;
- კონკურსანტი ირჩევს სამოდელო ლექციის სასურველ თემას, სამიზნე ჯგუფს;
- სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ტარდება მუსიკის ისტორიის, სოლფეჯიოს, ჰარმონიის, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის, პოლიფონიის, მუსიკალური სტილების თეორიის/ეთნომუსიკოლოგიის დისციპლინებში.

სამოდელო ლექცია/გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებია:

ლექციის შინაარსი

• ლექციის/გაკვეთილის ძირითადი სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები;
• თემის ძირითადი დებულებების ფორმულირება;
• თეორიისა და პრაქტიკის ორგანული კავშირი, თეორიული მასალის და კონკრეტული მაგალითების თანხვედრა;
• გამოყენებული ტერმინოლოგიის სიზუსტე.

სწავლების მეთოდები

• სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისობა საგნის სპეციფიკასთან;
• სალექციო დროის რაციონალური გამოყენება;
• სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები

• ინფორმაციის განზოგადებისა და მიწოდების ხარისხი;
• მეტყველების კულტურა და კომუნიკაციის უნარი.

ბ) გასაუბრება ტარდება კონკურსანტის მიერ ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის ირგვლივ:

- პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის გამოცდილება;
- სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის გამოცდილება და მიღწევები;
- პროფესიულ საქმიანობასთნ დაკავშირებული სხვა აქტივობები.

ასისტენტ-პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პედაგოგიური **საქმიანობისა** და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბოლო 6 წელი.

კონკურსანტების შეფასება ხდება 20 ქულიანი სისტემით. ჩატარებული სამოდელო ლექცია/გაკვეთილი ფასდება ცალკე, 10 ქულით, ხოლო გასაუბრება ცალკე, 10 ქულით. თითოეულ კომპონენტში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი - განისაზღვრება 6 ქულით. სამოდელო ლექცია/გაკვეთილში 6 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე.

8. კონკურსანტებთან გასაუბრებები, აგრეთვე, საშემსრულებლო ფაკულტეტის სპეციალობებზე კონცერტი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე,

კომპოზიციის და მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით გაკვეთილი და მუსიკოლოგიურ სპეციალობებზე სამოდელო ლექცია/გაკვეთილი, ტარდება ფიზიკურ რეჟიმში.

მუხლი 8. გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საკონკურსო ეტაპების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.
2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.
3. საკონკურსო კომისიის ოქმში/ებში აუცილებლად აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა და დასაბუთება.
4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს.
5. საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგების ამსახველ შემაჯამებელ ოქმს საკანცელარიო წესით აგზავნის აკადემიურ საბჭოში. შემაჯამებელ ოქმს აკადემიური საბჭოს შესაბამის სხდომაზე წარმოადგენს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მიერ არჩეული მომხსენებელი.
6. კონკურსის შედეგებს ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო და აცხადებს საჯაროდ.
7. კონკურსი დასრულებულად ითვლება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.
8. თუ საკონკურსო კომისია კვორუმის შეკრების პრობლემის არსებობის ან სხვა ობიექტური მიზეზის არსებობის გამო დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს შესაბამის სავალდებულო პროცედურებს, მას შესაძლოა მიეცეს დამატებითი ვადა.
9. კონკურსანტის ანკეტისა ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია იმ კონკურსანტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი ანკეტა ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი.
10. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. კონკურსანტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) კონსერვატორიის ადამიანური რესურსების სამსახურში.